საზოგადოებრივი ურთიერთობების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სარჩევი

2 სარჩევი
3 ალტერბრიჯის შესახებ
5 რექტორის მიმართვა
7 აკადემიური პერსონალი
9 კამპუსი
10 პროგრამის კურიკულუმი
15 კონტაქტი

ალტერბრიჯის შესახებ

მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“ ახალი ალტერნატიული სივრცეა ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე, რომელიც წარმოადგენს ხიდს განათლებიდან დასაქმებამდე და კარიერულ წინსვლამდე. სახელწოდება, როგორც ფუნქციური დატვირთვის სიტყვათა შეთანხმება, გამომდინარეობს სასწავლო უნივერსიტეტის მისიიდან და გრძელვადიანი ხედვიდან.

ალტერბრიჯი 2018 წელს დაარსდა საკონსულტაციო-სატრენინგო ცენტრ „PR აკადემიის” მიერ, რომლის 7 წლიანი წარმატების ისტორია უკავშირდება ზოგადი მენეჯმენტის, სტრატეგიული კომუნიკაციის, ორგანიზაციული კვლევების, ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით კორპორაციული/ ინდივიდუალური ტრენინგებისა და სასწავლო პროგრამების განხორციელებას, მენტორინგისა და საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფას.

ალტერბრიჯი ეს არის მოტივირებულ ადამიანთა ერთობლიობა, რომელმაც იცის როგორ მიაღწიოს მიზანს და როგორ დამუხტოს სხვები თვითრეალიზებისთვის. ასე შეიქმნა დასაქმებასა და განვითარებაზე ორიენტირებული განათლების გამორჩეული კერა, რომელიც საქართველოში პირველი ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა უპირობო 7 წლიანი ავტორიზაციით. მის ერთ-ერთ კონკურენტულ უპირატესობას წარმოადგენს დამფუძნებლისა და მმართველი გუნდის მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება, რეპუტაცია და მაღალი ცნობადობა საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში და ზოგადად, კომუნიკაციის სფეროში.

ალტერბრიჯის ახალ აშენებული თანამედროვე დიზაინის შენობა განთავსებულია ეკოლოგიურად სუფთა გარემოში, აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი ინფრასტრუქტურით, რაც უზრუნველყოფს ხელსაყრელ პირობებს ინოვაციური მიდგომებით სწავლების, სამეცნიერო-შემოქმედებითი კვლევისა და პიროვნული თუ პროფესიული ზრდა-განვითარებისათვის.

2019 წლის 19 დეკემბერს „ალტერბრიჯმა“ ავტორიზებულ რეჟიმში მოიპოვა უფლება განახორციელოს საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის საბაკალავრო და სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამები. მიმდინარე წელს განხორციელდა სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაცია და პირველი ნაკადის მიღება. ასევე შემუშავდა მიკრომასტერის პროგრამა სტრატეგიულ ბრენდინგში, რომელიც დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს სამაგისტრო დონეზე აიმაღლონ პროფესიონალიზმი.

ალტერბრიჯის შესახებ

2021 წლიდან ალტერბრიჯი და ნანა ჩაჩუას ფსიქოლოგიური ცენტრი „ეგზისტენციალური ანალიზისა და ლოგოთერაპიის საერთაშორისო საზოგადოებასთან“ (GLE INTERNATIONAL) ერთობლივი თანამშრომლობით იწყებენ ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე უნიკალურ საერთაშორისო სასწავლო პროგრამას ეგზისტენციალური ანალიზი და ლოგოთერაპია, რომლის ავტორია ცნობილი ფსიქოთერაპევტი, ეგზისტენციალური ანალიტიკოსი, მედიცინისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი (ავსტრია) ალფრედ ლენგლე.

ალტერბრიჯის კვლევითი ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი „თანამედროვე მეცნიერების გამოწვევები“, რომლის მეორე ნომერი 2021 წლის გაზაფხულზე გამოვა. აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევარების კვლევითი საქმიანობის წარმოჩენის მიზნით ალტერბრიჯმა უკვე ჩაატარა რამდენიმე საგანმანათლებლო ფორუმი და ვებინარი. მომდევნო წლის დასაწყისში დაგეგმილია მასშტაბური საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია "სტრატეგიული კომუნიკაცია დღეს: არსებული სირთულეები და შესაძლებლობები".

სასწავლო უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ კერძო და საჯარო სტრუქტურებთან, საერთაშორისო კომპანიებსა და დონორ ორგანიზაციებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან. ალტერბრიჯის პარტნიორებს შორისაა: იუნისეფ საქართველო, ADIZES GRADUATE SCHOOL, AIESEC IN GEORGIA, საგამომცემლო ჰოლდინგ „პალიტრა L”-ის პროექტი „ლურჯი ოკეანე“, ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, ტეკლეკომპანია „იმედი“, არტარეა, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, HR-გილდია, SWEDEN ALUMNI NETWORK GEORGIA და მრავალი სხვა.

ალტერბრიჯის რექტორის მიმართვა

"განმანათლებლობა არის ადამიანის გამოსვლა იმ უმწიფრობიდან, რომელიც მისივე ბრალია" კანტი ამ სიტყვებში უმწიფრობას უწოდებს ადამიანის ნებას იცხოვროს და იყოს მართული სხვისი აზრებით - ხოლო განმანათლებლობას კი ძალას, გაბედო გქონდეს საკუთარი განსჯის უნარი...

დღეს, როდესაც ალტერბრიჯის კარებს ვაღებ, მე ვხედავ შედეგს... შედეგების ერთობლიობას და თითოეული მათგანი ჩემთვის სწორედ ამ სიტყვებთან ასოცირდება - განმანათლებლობა, სიმამაცის აქტი, გაბედო იაზროვნო, გაბედო იმოქმედო და გაბედო გჯეროდეს საკუთარი მიზნების..

ჩვენი ყველა შედეგი ნაბიჯით იწყება და სწორედ ამ ნაბიჯის გადადგმაა ყველაზე რთული. თუმცა ვერასოდეს გაიგებ რა მოხდებოდა თუ არ სცადე.. და ამიტომაც ჯობს იმოქმედო, რადგან უმოქმედობა სიცარიელეაა, მოქმედებას კი ყოველთვის მოაქვს შედეგი,..

ახლა, როდესაც უკან ვიხედები, ვხვდები რომ ყველაფერი სწორედ იმ ნაბიჯების დამსახურებაა, რომლებიც გავბედე და გადავდგი..

- როდესაც გავბედე და ერთ ოთახში, ერთი ტრენინგით დავიწყე საქმე, რომელიც მიყვარს..
- როცა ის გუნდი შემოვიკრიბე, რომლებმაც ჩემსავით გაბედეს და დაიჯერეს, რომ ცხოვრებაში არაფერია იმაზე ძვირფასი, ვიდრე დაეხმარო ადამიანებს საკუთარი თავის პოვნაში ...
- როცა ერთად გავბედეთ და არასოდეს დავნებდით სირთულეებს, რომლებიც ყველა ჯერზე გადაგვეღობა...
- როცა ვაჩვენეთ ადამიანებს, რომ ცვლილებები იწყება მათით და მერე თავად მივეცით მაგალითი, რადგან თ ავად გავბედეთ ყველაზე დიდი ცვლილება ...
- როცა გავბედეთ და მივიღეთ გამოწვევა გავხდარიყავით უმაღლესი სასწავლებელი და მერეც, როცა დავძლიეთ ეს გამოწვევა და გავხდით ერთადერთი ახალი სასწავლებელი, რომელსაც უპირობო ავტორიზაცია მიენიჭა!
- და ახლაც, როცა ყოველდღიურად უნდა გავბედოთ, რათა შევქმნათ ალტერნატიული საგანმანათლებლო შესაძლებლობები ქვეყანაში!

ალტერბრიჯის რექტორის მიმართვა

ალტერბრიჯი სტუდენტების ახალ ნაკადს ელოდება და ჩვენი მთავარი გზავნილი ასეთია!

გაბედე ა ლტერნატივა
გაბედე ლ იდერობა
გაბედე ტ ოლერანტობა
გაბედე ე რთგულება
გაბედე რ ბოლა
გაბედე ბ ედნიერება
გაბედე რ ისკი
გაბედე ი ამაყო
გაბედე ჯ ობდე
გაბედე ი აზროვნო

დიახ, ,,გაბედე იაზროვნო", SAPERE AUDE! - სწორედ აქედან იწყება განმანათლებლობა და ეს ის სიმამაცის აქტია, რომელიც პიროვნულად უნდა განახორციელო...
ჩვენ გავბედეთ და ახლა აქ ვართ!
ამიტომაც
#გაბედეიყოალტერი #გახდიალტერბრიჯელი
შეხვედრამდე ალტერბრიჯში,

ნათია გოცაძე
მართვისა კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ,,ალტერბრიჯის " რექტორი

აკადემიური პერსონალი

აკადემიური პერსონალი

საუნივერსიტეტო კამპუსი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საზოგადოებრივი ურთიერთობა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სტრატეგიული კომუნიკაციისა და სამართლის სკოლა	
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საზოგადოებრივი ურთიერთობები და კომუნიკაციის ფსიქოლოგია
დეტალური სფერო	Public Relations & Psychology of Communication
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი
კვალიფიკაციის კოდი	0321 მასობრივი კომუნიკაცია/Mass Communication
აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი, უმაღლესი აკადემიური განათლების I საფეხური
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	240 ECTS კრედიტი
პროგრამის სტრუქტურა:	საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები სტრუქტურულად განაწილებულია შემდეგი პრინციპით: ➢ 150 ECTS - ძირითადი კომპონენტის სასწავლო კურსები; ➢ 35 ECTS - თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები ➢ 55 ECTS - თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები
პროგრამის ხელმძღვანელები	მაკო ჯაოშვილი PH D., ასოცირებული პროფესორი ნათია გოცაძე PH.D., ასოცირებული პროფესორი
სწავლების ენა	ქართული

დაშვების წინაპირობა (მოთხოვნები)

სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი,;
ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება სავალდებულოა შემდეგ საგნებში:

- ქართული ენა და ლიტერატურა;
- უცხო ენა;
- მათემატიკა/ისტორია;

აბიტურიენტს სტუდენტის სტატუსის მოპოვება შეუძლია აგრეთვე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია შიდა მობილობის ან მობილობის წესით კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ(შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრში), მოქმედი კანონმდებლობის და სასწავლო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

შეასწავლოს მასების მართვის ტექნოლოგიები, საზოგადოებასთან ურთიერთობის როლი დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციაში, გარშემომყოფთა ქცევითი ანალიზი და სოციალურ გარემოსთან ადაპტაცია;

სტუდენტს მისცეს ზოგადი თეორიული წარმოდგენა პიროვნების ფსიქოლოგიის ასპექტების, მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებით გაშუქებული მოვლენების შეფასებისა და მედიამონიტორინგის შემადგენელი კომპონენტების შესახებ;

შესძინოს გამოცდილება აუდიო-ვიზუალური კომუნიკაციის მეთოდების, ქცევაზე მოქმედი ფაქტორებისა და პიროვნებათშორისი ურთიერთქმედებების პროცესების შესახებ;
გამოუმუშავოს სწორი საკომუნიკაციო მესიჯების შერჩევის, მიზნობრივ აუდიტორიასთან ურთიერთობის, ეფექტიანი წარდგენისა და საკომუნიკაციო კამპანიის რეალიზების პრაქტიკული უნარ-ჩვევები

სწავლის შედეგები და კომპეტენციები

საზოგადოებრივი ურთიერთობების და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შედეგები აისახება ქვემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციების განვითარებაში.

ცოდნა და გაცნობიერება:

კურსდამთავრებულმა იცის:

- კომუნიკაციის ფსიქოლოგიის ასპექტები და მიზნობრივი აუდიტორიის შესაფერისი საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების თავისებურებები
- ადამიანის ქცევის ამხსნელი თეორიები და მასობრივი კომუნიკაციების ზეგავლენით ცალკეულ ინდივიდებსა თუ ჯგუფებზე მოქმედი ფაქტორები

უნარი

მიღებული ცოდნის რეალიზების შედეგად კურსდამთავრებულს შეუძლია:

- დაინტერესებულ მხარეებთან საურთიერთობოდ გამოსვლის ტექსტის შედგენა, ზეპირი/წერითი წარდგენისთვის მასალების / ინფორმაციის მომზადება;
  - სწორი საკომუნიკაციო არხების გამოყენებით სათანადო მესიჯების აქცენტირება და ინდივიდის/ჯგუფის ქცევაზე გავლენა;
  - ქცევის შემცველ გარემოებათა გათვალისწინებით მიზნობრივი აუდიტორიის შესაბამისი კომუნიკაციის დამყარება;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სამიზნე აუდიტორიასთან ურთიერთობისას კურსდამთავრებული აცნობიერებს

- პიროვნებათაშორისი უკუკავშირის მნიშვნელობას, მედიამონიტორინგის დამოუკიდებელი ანალიზის როლს და ინფორმაციის ობიექტურობის დანიშნულებას
- ვიდეო-აუდიო ან სხვა რესურსის გამოსაყენებლად საავტორო უფლებათა დაცვაზე პირად პასუხისმგებლობას

დასაქმების სფერო:

საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის რანგში კერძო, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორში, საერთაშორისო თუ ადგილობრივ კორპორაციებში, კვლევით-საკონსულტაციო და სარეკლამო სააგენტოებში შესაბამისი სტრუქტურული ერთეულით განსაზღვრულ საშუალო რგოლის მენეჯერის პოზიციაზე. კურდამთავრებულს, საკუთარი ინტერესების შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესების გათვალისწინებით, შეუძლია სწავლის გაგრძელება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები:

პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის შედეგების მისაღწევად გამოიყენება ინტერაქტიული ლექცია, ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკის ინტეგრირება თეორიულ კურსთან და ცალკე სასწავლო კურსადაც გავლა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, დამოუკიდებელი მუშაობა.

სწავლა-სწავლების მეთოდები:

აკეთე და ისწავლე (learning by doing) - სტუდენტს პრაქტიკულ ჩვევებს უყალიბებს და საშუალებას აძლევს განივითაროს სტრატეგიული დაგეგმვის უნარი, გუნდური მუშაობა

ახსნა-განმარტებითი მეთოდი - მსჯელობა მოცემული საკითხის გარშემო კონკრეტული მაგალითის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლით დაკვირევებისა და ანალიზის უნარების გაუმჯობესება

დისკუსია / დებატებში მონაწილეობა - კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარზე ორიენტირებული მეთოდი, რომლითაც ასევე ვლინდება ემოციების მართვის უნარი

გამოცდილებითი სწავლება - აუდიტორიის მიღმა სხვა და სხვა აქტივობებში ჩართვით პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა, დაკვირვებისა და უშუალო გაკეთების პროცესების მეშვეობით.

გონებრივი იერიში - კონკრეტული საკითხის გარშემო კრიტიკული, ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებების მოსმენა, იდეების გაცხრილვა, კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დადგენა და შერჩეული შეხედულებების შეფასება წინასწარ ჩამოყალიბებული კრიტერიუმებით

დემონსტრირების მეთოდი - ინფორმაციის ვიზუალურად წარდგენა, რომლის დროსაც ადვილად ხდება სასწავლი მასალის აღქმა, საკითხის/პრობლემის არსის წარმოჩენა და მის გარშემო მსჯელობა აუდიო და ვიზუალური საშუალებების გამოყენებით.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია, რაც ხელს უწყობს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების უნარის განვითარებას

წყვილში მუშაობა ქოუჩინგის პრინციპით - მოიცავს კონკრეტული საკითხის გარშემო სწორი კითხვების დასმით გადაწყვეტილების მიღებას. სტუდენტები პრაქტიკულად გაივარჯიშებენ კითხვების დასმას, მოსმენის უნარს, პასუხისმგებლობას გადაწყვეტილებაზე

წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდი - დამატებითი მასალის მოძიება და სიღრმისეული დამუშავება, საინტერესო ინფორმაციაზე ჩანაწერების გაკეთება

წერითი მუშაობის მეთოდი - რამდენიმე აქტივობის შერწყმა მიღებული ინფორმაციის დაკონსპექტებით, თეზისების შედგენით, რეფერატის ან ესსეს შესრულება

შემთხვევის ანალიზი - კონკრეტული შემთხვევების განხილვა საკითხის დეტალური შესწავლის მიზნით, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებით კონკრეტული საკითხის საფუძვლიანი შესწავლა

კონკრეტული სასწავლო კურსის პროფესორს / ლექტორს სრული აკადემიური თავისუფლება აქვს სასწავლო თემატიკის მოსამზადებლად და შესაბამისი სწავლების მეთოდების ასარჩევად.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ეყრდნობა პრინციპებს:

გამჭვირვალობა - შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა პირისათვის. სტუდენტს ყოველი აკადემიური სემესტრის დაწყებისთანავე ეცნობება, თუ როდის და რა კრიტერიუმებით შეფასდება მისი ცოდნა;

სისტემატური ხასიათი – შეფასება არის პროცესი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტს გამოავლინოს ცოდნა და უნარები, ხოლო ლექტორს ეხმარება დააკვირდეს სტუდენტის მიერ ცოდნის ათვისებისა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობას;

სამართლიანობა - სწავლების პროცესში გამოყენებულია ობიექტური და კეთილსინდისიერი შეფასების სტანდარტული მიდგომა.

შეფასების ფორმატი და მეთოდოლოგია:

შეფასების სისტემა (შეფასების ფორმატი, მეთოდოლოგია და თითოეული კომპონენტისათვის მინიჭებული ქულა) გაწერილია შესაბამის სილაბუსში და სტუდენტებს ეცნობებათ სემესტრის დასაწყისში.

შუალედური, დასკვნითი და აღდგენითი (საპატიო) გამოცდები ჩატარდება წერილობითი, ზეპირი ან შერეული ფორმატით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

ზეპირი გამოცდები ტარდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი მოთხოვნის მიხედვით: „ზეპირ გამოცდას ატარებს სასწავლო კურსის ხელმძღვანელი, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ზეპირი გამოცდა ჩაატაროს საგამოცდო კომისიამ, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს შესაბამისი სკოლის დეკანი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად.“

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (**A) ფრიადი**– შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) **(B) ძალიან კარგი**– მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (**C) კარგი**– მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) **(D) დამაკმაყოფილებელი**– მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (**E) საკმარისი**– მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) **(FX) ვერ ჩააბარა**– მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) **(F) ჩაიჭრა**– მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

გ) **შუალედური და დასკვნითი** შეფასების თითოეული კომპონენტი ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას.

დ)ერთ-ერთი უარყოფით შეფასების: **(FX) ვერ ჩააბარა** -ს მიღების შემთხვევაში სკოლა ნიშნავს დამატებით გამოცდას დასკვნითი შეფასების შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ **5** დღეში;

ე) დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში;

ვ) თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო 0-დან 50 ქულა, სტუდენტს უფორმდება შეფასება **(F) -0 ქულა.**

შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების რუბრიკები მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში ,რომლებიც რელევანტურია სასწავლო კურსების სპეციფიკასთან და მიმართულია სწავლის შედეგზე გასასვლელად.

აღდგენითი ე.წ. საპატიო გამოცდა

თუ სტუდენტი საპატიო მიზეზით ვერ დაესწრება გამოცდას (შუალედურს ან დასკვნითს), მას უფლება აქვს ისარგებლოს აღდგენით გამოცდაზე გასვლის უფლებით, სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ კალენდარში მითითებული პერიოდის განმავლობაში.

სტუდენტმა უნდა დაასაბუთოს გამოცდის გაცდენის მიზეზი სკოლაში შესაბამისი დოკუმენტების წარდგენით შუალედური გამოცდის ჩატარებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში და დასკვნითი გამოცდის ჩატარებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. საპატიო მიზეზით აღდგენილ გამოცდაზე მიღებული ქულა ჩაითვლება შუალედური/დასკვნითი გამოცდის ქულად. აღდგენითი ან საპატიო გამოცდების გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტი ვეღარ ისარგებლებს საპატიო გამოცდაზე გასვლის უფლებით.

სწავლების ორგანიზების თავისებურებები

უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი). საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS, რომელიც გადანაწილებულია 4 აკადემიური წლის, 8 სემესტრის განმავლობაში. ყოველ სემესტრში სტუდენტი საშუალოდ აგროვებს 30 კრედიტს. ,,ალტერბრიჯის" საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს უტარდება ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი გამოცდა ინგლისურ ენაში. სტუდენტების ჯგუფებად დაკომპლექტება მოხდება შესაბამისი დონის მიხედვით. სტუდენტი,რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B1 დონეზე ფლობის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს (TOEFL IBT, IELTS, FCE), თავისუფლდება ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან. ასეთ შემთხვევაში ინგლისური ენისთვის გათვალისწინებული კრედიტების ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს შეისწავლოს სხვა უცხოური ენა ან/და აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი,წინპირობების დაცვის პრინციპის შესაბამიად.. ამავდროულად, მას შეუძლია დაიწყოს დარგობრივი ინგლისური ენის შესწავლა. სტუდენტი საბაკალავრო პროგრამას ასრულებს ინგლისური ენის ფლობის B2 დონის კომპეტენციით

მე-7 სემესტრიდან სტუდენტი გადის სასწავლო პრაქტიკას იმ ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები.

სწავლის გაგრძელების საშუალება:

კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში.

ალტერბრიჯი

თბილისი,ბაგები,წყნეთის გზატკეცილი 67
https://www.facebook.com/alterbidgeuniversity/
https://alterbridge.edu.ge/
info@alterbridge.edu.ge
+995 598 32 00 31